ოქმი N 3

ხობის მუნიციპალიტეტის მეოთხე მოწვევის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა

კომისიის სხდომის

ქ. ხობი

2020 წლის 28 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. თეა გელანტია
2. აბელი ქირია
3. გიგა ნასარაია
4. მზია ლემონჯარია
5. ნიკოლოზ ვეკუა
6. შადიმან ჭილაია
7. მერაბ ფილიპია
8. გია წულაია

სხდომას თავმჯდომარეობდა თ. გელანტია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 17 თებერვლის N05/474 წერილის განხილვა:
   - „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების საკუთრების უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ;
   - „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის თაობაზე;

   (მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 17 თებერვლის N04/488 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

3. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 2020 წლის 25 თებერვლის N06/600 წერილის განხილვა („საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ხობის მუნიციპალიტეტში 2020 წელს დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

4. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარის ვ. ქანთარიას 2020 წლის 26 თებერვლის N17/01 განცხადების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული თბილისის ქუჩისთვის ტარიელ გელანტიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის გ. ქაჯაიას 2020 წლის 28 თებერვლის N03/644 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ);
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის შესახებ.

(მომხსენებელი: თ. გელანტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხების ბიუროს სხდომის დღის წესრიგში. შეტანის თაობაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ პროექტს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი საკითხები შეტანილ იქნეს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე თეა გელანტია

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2020 წლის 28 თებერვალი

საპროცედურო საკითხთა კომისიის სხდომაზე
დამსწრე წევრთა რეგისტრაცია

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	თეა გელანტია	სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე	
2	აბელ ქირია	კომისიის წევრი	
3	გიგა ნასარაია	კომისიის წევრი	
4	მზია ლემონჯარია	კომისიის წევრი	
5	ნიკოლოზ ვეკუა	კომისიის წევრი	
6	შადიმან ჭილაია	კომისიის წევრი	
7	მერაბ ფილიპია	კომისიის წევრი	
8	გია წულაია	კომისიის წევრი	